



ფრიდრიხ დიურენმატი
მინოტავრი. დავალება

ფრიდრიხ დიურენმატი
მინოტავრი. დავალება

Friedrich Dürrenmatt
MINOTAURUS. DER AUFTRAG

გერმანულიდან თარგმნა მია ბადრიძემ



საქართველოს ეროვნული
წიგნობის ეროვნული
სამინისტრო

ქართული
წიგნობის
ეროვნული
სამინისტრო



წიგნი გამოიცა ქართული წიგნის ეროვნული
ცენტრის და საქართველოს კულტურის და
სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

© 1986, 1988 by Diogenes Verlag AG Zürich
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-570-7

www.diogene.ge

მინოტავრი 9
დავალება 27

ვეძღვნი შარლოტეს

მინოტავრი

ბალადა

არსებას, რომელიც ხელოვნურ ძროხაში საკუთარი ნებით გამოკეტილმა მზის ღმერთის ქალიშვილმა პასიფაემ პოსეიდონის თეთრ ხართან შეუღლების შემდეგ შვა და რომელიც ბოსელში ძროხებთან იზრდებოდა, ხანგრძლივი და შფოთიანი ძილის შემდეგ ლაბირინთში გამოეღვიძა, სადაც მინოსის მსახურებმა – რომლებიც, გზა რომ არ არეოდათ, ხელიხელჩაკიდებულები ერთ გრძელ ჯაჭვს ქმნიდნენ – შეათრიეს და ძირს დააგდეს. დედალოსის მიერ საგანგებოდ აშენებულ – ამ არსების ადამიანებისაგან და ადამიანების მისგან დასაცავად – ლაბირინთს, რომელიც ისე მოეწყო, რომ ვინც შიგ მოხვდებოდა, გზას უკან ვეღარ იგნებდა, უთვალავი, თითქოს ერთმანეთში ჩასმული მინის კედელი ჰქონდა; ასე რომ, არსება არა მარტო თავისი ანარეკლის, არამედ ამ ანარეკლების ანარეკლების წინ დაყუნცულიყო და აურაცხელ თავის მსგავს არსებას ხედავდა. მათი ყურებით გაბეზრებულმა ზურგი რომ შეაქცია, თვალწინ კვლავ აურაცხელი მსგავსი არსება დაუდგა. ის დაყუნცული არსებებით სავსე სამყაროში აღმოჩნდა და არ იცოდა, რომ ყველა ეს არსება თვითონ იყო. დამბლადაცემულივით გახევდა. არც ის იცოდა, სად იყო და არც ის, რა უნდოდათ ამ არსებებს; იქნებ ეძინა და სიზმარს ხედავდა, თუმცა არ იცოდა, რა სიზმარი იყო და რა – ცხადი. ინსტინქტურად წამოხტა, დაყუნცული არსებები რომ გაეყარა და მასთან ერთად მისი ყველა ანარეკლიც წამოხტა. მოიხარა და მასთან ერთად მისი ყველა ანარეკლიც მოიხა-

რა. ვერ გაყარა. ყველაზე ახლო ანარეკლს მიაშტერდა და უკან ნელა გაბობლდა; ანარეკლიც დასცილდა, უკან გაბობლდა; მინოტავრმა მარჯვენა ფეხი კედელს მიარტყა, მკვეთრად შემოტრიალდა, თავის ანარეკლთან პირისპირ აღმოჩნდა და ისევ ფრთხილად გაბობლდა უკან, ანარეკლიც ფრთხილად გაბობლდა. უნებლიეთ ხელი თავზე წაივლო, ანარეკლებმაც ზუსტად ასე წაივლეს თავზე ხელი. წამოდგა, მასთან ერთად ანარეკლებიც წამოდგნენ. თავის სხეულს დახედა და ის თავისი ანარეკლების სხეულებს შეადარა; ანარეკლებმაც დახედეს თავიანთ სხეულს და ის თავიანთ სხეულს შეადარეს, და როცა მინოტავრი თავის თავს და თავის ანარეკლებს აკვირდებოდა, მიხვდა, რომ ზუსტად მათ ჰგავდა, მიხვდა, რომ ერთ-ერთი იყო ამ მსგავს არსებათაგან. კეთილად გაელიმა, ანარეკლებსაც კეთილად გაელიმათ. ხელი დაუქნია, მათაც დაუქნიეს ხელი, მარჯვენა ხელი დაუქნია, მარცხენა დაუქნიეს, მაგრამ არ იცოდა, რა იყო მარჯვენა და რა – მარცხენა. გაიზმორა, ხელები გაშალა, დაიღრიალა, მასთან ერთად უსასრულოდ ბევრი მსგავსი არსება გაიზმორა, მათაც გაშალეს ხელები და დაიღრიალეს. ექო ათასჯერ გაისმა, თთქოს ამ ღრიალს დასასრული არ ჰქონდა. ბედნიერების გრძნობა დაეუფლა. მინის ყველაზე ახლო კედელს რომ მიუახლოვდა, ამ დროს ერთ-ერთი ანარეკლიც მოუახლოვდა, დანარჩენები კი დაშორდნენ. თავის ანარეკლს მარჯვენა ხელით შეეხო, ანარეკლის მარცხენას შეეხო და იგრძნო, რომ ანარეკლი ცივი და გლუვი იყო. იდგა და ხედავდა, როგორ ეხებოდნენ ანარეკლის ანარეკლები ერთმანეთს. მერე გაიქცა. კედლის გასწვრივ მირბოდა, გლუვ მინას ეხებოდა და ანარეკლის მარცხენა ხელს მარჯვენას ადებდა; მასთან ერთად მისი ანარეკლიც მირბოდა. მინის კედლის გასწვრივ უკან რომ გამოიქცა, მისი ანარეკლიც მასთან ერთად გამოიქცა. მინოტავრი გალალდა, აქეთ-იქით დახტოდა, ყირაზე გადადიოდა, მისი ურიცხვი ანარეკლიც მასთან ერთად დახტოდა და ყირაზე გადადიოდა. რადგან ანარეკლებიც იმას იმეორებდნენ, რასაც თვითონ აკეთებდა, კიდევ უფრო გაანცდა და თავი მათ წინამძღოლად წარმოიდგინა, ღმერთადაც კი წარმოიდგენდა, ღმერთის

არსებობა რომ სცოდნოდა. და აი, ეს მისი ბავშვური აღტყინება რიტმულ ცეკვაში გადაიზარდა. ცეკვავედა თავის ანარეკლებთან ერთად, რომელთაგან ზოგი გადაბრუნებული სარკული გამოსახულება იყო, ზოგი კი ანარეკლის ანარეკლი – ისეთი, როგორიც თვითონ არსება, დანარჩენები ისევ უკულმა ირეკლებოდნენ და სადღაც უსასრულობაში იკარგებოდნენ. ასე ცეკვავედა ეს არსება თავის ლაბირინთში, თავისი ანარეკლების სამყაროში, როგორც საზარელი ნაშიერი, როგორც საკუთარი თავის საზარელი მამა, როგორც საზარელი ღმერთი თავისი ანარეკლების სამყაროში. და აი, უცებ შეწყვიტა ცეკვა, გახევდა, დაიყუნცა, ცნობისმოყვარედ რაღაცას მიაშტერდა, მასთან ერთად მისმა ანარეკლებმაც დაიყუნცეს და თვალი გაუშტერდათ: მოცეკვავე ანარეკლებში აცეკვებულმა არსებამ სხვა არსებები დაინახა, ისინი, ვინც არ ცეკვავენ და ის ანარეკლები არ იყვნენ, მანამდე მის ნებას რომ ემორჩილებოდნენ. გოგოს, იმ დაყუნცულ არსებასავით კედელზე რომ ირეკლებოდა, გრძელი შავი თმა ჰქონდა და შიშველი, გაუნძრევლად იდგა დანარჩენ დაყუნცულ არსებებს შორის. ისინი ყველგან იყვნენ: წინ, გვერდით, უკან, ზუსტად ისე, როგორც თვითონ იყო ყველგან: წინ, გვერდით, უკან. გოგო განძრევას ვერ ბედავდა, შიშამდგარი თვალებით შესცქეროდა ყველაზე ახლო მდგომ არსებას და მზერას ვერ აცილებდა. გოგომ იცოდა, რომ მხოლოდ ერთი დაყუნცული არსება არსებობდა და სხვა დანარჩენები მისი ანარეკლები იყვნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომელი იყო ნამდვილი. იქნებ ის იყო, მის წინ რომ დაყუნცულიყო, ან იქნებ ის მისი ანარეკლი იყო, ან ანარეკლის ანარეკლი – არ იცოდა, მარტო ის იცოდა, რომ გაქცევამ ისევ მასთან დააბრუნა და ახლა დაყუნცული არსების გვერდით საკუთარ ანარეკლს ხედავდა, ცოტა მოშორებით, წინ, საკუთარ თავს ხედავდა ზურგიდან, გვერდით – დაყუნცულ არსებას ზურგიდან და ასე უსასრულოდ სივრცეში. ხელები მკერდზე გადაეჯვარედებინა და მონუსხული ისევ მის წინ დაყუნცულ არსებას შეჰყურებდა. ეგონა, რომ ხელით შეხებას შეძლებდა. ეგონა, რომ მის სუნთქვას გრძნობდა. ეგონა, რომ მისი ქმენა ესმოდა. არსების ხა-

რის უზარმაზარი თავი გახუნებული ღია ნაბლისფერი ბალნით დაფარვოდა, მაღალ და ფართო შუბლზე აბურძგინილი ხუჭუჭა თმა მოსდებოდა, მოკლე და ისეთი მოღუნული რქები ჰქონდა, რომ წვეტები რქის ძირებს ეხებოდა, ამობურცული ფოსოები და ღრმად ჩამჯდარი, თავთან შედარებით პატარა ჩანითლებული თვალები და ამოუცნობი მზერა ჰქონდა. ხორციანი ცხვირის ზურგი მსუბუქად იხრებოდა ირიბად აჭრილი ნესტოებისკენ, პირიდან გრძელი მოლურჯო-წითელი ენა გადმოჰკიდებოდა და ნიკაპქვემ წვერზე დობლი შეხმობოდა. ამ ყველაფერს თვალი აიტანდა, მაგრამ აუტანელი ის იყო, რომ ხარი თანდათან ადამიანში გადადიოდა. გაჯეჯილი თმა ხარის თავზე მთასავით ედგა, ტანზე გაქუცული ბალანი მოსდებოდა და ამ ბუნუნებიდან არსებას ადამიანის ორი ხელი გამოზრდოდა, რომლებითაც მინის იატაკს ეყრდნობოდა; მამაკაცის ტანიდან ვეებერთელა თავი და ბალნიანი კუზი ამოზრდოდა; ნახტომისთვის მომზადებული ურჩხული დაყუნცული იდგა გოგოს წინ, გვერდით, უკან. მინოტავრი წამოდგა. უზარმაზარი იყო. უეცრად მიხვდა, რომ მინოტავრების გარდა, რალაც სხვაც არსებობდა. მისი სამყარო გაორმაგდა. ირგვლივ არეკლილ თვალებს, პირს, მხრებზე ჩამოშლილ შავ თმას ხედავდა, ხედავდა თეთრ კანს, კისერს, მკერდს, მუცელს, საშოს, ბარძაყებს – ეს ყველაფერი თითქოს ერთმანეთში გადადიოდა და ერთმანეთს ერწყმოდა. მინოტავრი გოგოსკენ წავიდა. გოგომ უკან დაიხია, მაგრამ იმავე დროს სადღაც სხვაგან მიუახლოვდა. მინოტავრი გოგოს მთელ ლაბირინთში დასდევდა, ის კი გარბოდა. მინოტავრები და გოგოები თითქოს ქარაშოტმა დააბზრიალა: ხან ერთმანეთისკენ მიაქროლებდა, ხან ერთმანეთს ჩაუქროლებდა და ხან ერთმანეთისგან სადღაც შორს გააქროლებდა; ბოლოს კი, როცა გოგო მის მკლავებში აღმოჩნდა და მინოტავრმა მაგარი მინის ნაცვლად თბილი, ოფლიანი სხეული იგრძნო, მიხვდა – თუ შეიძლებოდა, მინოტავრი რამეს მიმხვდარიყო – რომ აქამდე იმ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც მხოლოდ მინოტავრები იყვნენ, მინის სატუსალოში სათითაოდ გამოკეტილი მინოტავრები; ახლა კი სულ სხვა სხეულსა და სულ სხვა ხორცს გრძნობდა. გოგო ხელი-

დან დაუსხლტა, მინოტავრმა გაუშვა, არ გამოჰკიდებია. გოგომ უკან დაიხია, დიდი თვალებით შეჰყურებდა და როცა მინოტავრმა ცეკვა დაიწყო, გოგოც აჰყვა და მათთან ერთად მათმა ანარეკლებმაც დაიწყეს ცეკვა. მინოტავრი თავის სიმახინჯეს ცეკვავდა გატაცებით, გოგო – თავის სილამაზეს, ის იმ სიხარულს ცეკვავდა, გოგოს პოვნით რომ განიცადა, გოგო – იმ შიშს, მინოტავრმა რომ იპოვა, ის თავის განთავისუფლებას ცეკვავდა, გოგო – თავის განწირულებას, ის თავის ჟინს ცეკვავდა, გოგო – თავის ცნობისმოყვარეობას, ის თავის დევნას ცეკვავდა, გოგო – თავის გაქცევას, ის სხვის სხეულში შეჭრას ცეკვავდა, გოგო – მასთან შერწყმას. ისინი ცეკვავდნენ და მათთან ერთად ანარეკლებიც ცეკვავდნენ, და მინოტავრმა არ იცოდა, რომ გოგოს დაეუფლა, არც ის იცოდა, რომ გოგო მოკლა, ან როგორ უნდა სცოდნოდა, როცა არც სიცოცხლე იცოდა, რა იყო და არც – სიკვდილი. მასში მხოლოდ მოუთოკავი ბედნიერება იყო მოუთოკავ ვნებასთან ერთად. გოგოს რომ დაეუფლა, დაიღრიალა და სარკეებში მინოტავრებიც დაეუფლნენ გოგოებს; ღრიალი შემზარავი ძახილი იყო, სამყაროს თავზარდამცემი ძახილი, თითქოს ამ ძახილის მეტი აღარაფერი არსებობდა და ამ ძახილმა გოგოს ყვირილი გადაფარა. იწვა მინოტავრი და სარკეებშიც იწვნენ მინოტავრები, შავთვალემა გოგოც იწვა თავისი თეთრი შიშველი სხეულით და კედლებში ირეკლებოდა. მინოტავრმა გოგოს მარცხენა ხელი აუწია, ხელი უსიცოცხლოდ ჩამოვარდა, მარჯვენა ხელი აუწია, ხელი უსიცოცხლოდ ჩამოვარდა, ირგვლივ ყველგან ხელები უსიცოცხლოდ ვარდებოდა. თავისი მოლურჯო-წითელი ენით გოგოს სახე და მკერდი აულოკა, გოგო გაუნძრევლად იწვა, ყველა გოგო გაუნძრევლად იწვა. გოგოს სხეული რქებით გადააბრუნა, მაგრამ ის არ განძრეულა, არც ერთი გოგო არ განძრეულა. ადგა, მიმოიხედა, ყველგან მინოტავრები იდგნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ, მათ ფეხებთან კი თეთრი სხეულები ესვენა. მინოტავრი დაიხარა, გოგო ხელში აიყვანა, საცოდავად დაიღმეულა და მისი სხეული ბნელი ცისკენ ასწია, მინოტავრებიც ყველგან დაიხარნენ, საცოდავად დაიღმეულეს და მათი სხეულები ბნელი ცის-